პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერწყმეთ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი | № 49 (11660) | შაბათი, 27 თებერვალი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვი ჯაკარტაში დაბრუნდა

ჯაკარტა, 26 თებერვალი. (საკდესი). დღეს 12 საათსა და 50 წუთზე ადგილობრივი დროით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები იავისა და ბალის კუნძულებზე ერთი კვირის მოგზაურობის შემდეგ ჯაკარტაში დაბრუნდნენ. მოგზაურობის დროს ნ. ს. ხრუშჩოვს ახლდნენ პრეზიდენტი სუკარნო, ინდონეზიის მთავრობის წევრები, აგრეთვე სხვა ოფიციალური პირები.

ჯაკარტის „კემაიორანის“ აეროდრომზე საბჭოთა მთავრობის მეთაურსა და პრეზიდენტ სუკარნოს გულთბილად შეხვდნენ მთავრობის წევრები, ინდონეზიის პარლამენტის დეპუტატები, ჯაკარტის მერი სუმარნო, რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელები და სხვა ოფიციალური პირები, ჯავრის სახელმწიფოებრივობისა და მშრომელთა წარმომადგენლები.

აეროდრომიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები გაემგზავრნენ მათთვის მიჩენილ რეზიდენციაში ნეგარის სასახლეში.

ლენინურ შრომითს ვახტზე

ერთმანეთს ეჯიბრებიან

კარგი საქმე წამოიწყო თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც შეჯიბრებაში გამოიწვია ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი და გადაწყვიტა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულოს, ელმავლის თვითღირებულება 1,5 პროცენტით შეამციროს, შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანოს 3 მილიონი მანეთი.

ეს შეჯიბრება ახალია. ახალია ისიც, რომ ელმავალმშენებლები წინადადებას იძლევიან დაწესდეს „ეკონომიის ოსტატის“ წოდება. ეს წოდება მიენიჭება იმათ, ვინც განსაკუთრებით გამოიჩენს თავს ფერადი ლითონების, ელექტროენერგიის, მასალებისა და საწვავის დაზოგვაში.

ავტომობილმშენებლებმა გულდასმით განიხილეს თბილისელთა ვალდებულებანი და იკისრეს: 1960 წლის დავალება 25 დეკემბრისათვის შეასრულონ, შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 1,5 პროცენტით, ავტომობილის თვითღირებულება შეამცირონ 1,5 პროცენტით.

ასე ჩაეყარა საფუძველი ქართული ელმავლის და ქართული ავტომობილის მშენებელთა შეჯიბრებას. ამ შეჯიბრებაში ავტომობილმშენებლებმა პირველი წარმატება მოიპოვეს — გადაჭარბებით შეასრულეს იანვრის დავალება, გეგმის გადამეტებით ათობით ავტომობილი მისცეს სამშობლოს. საავტომობილო ქარხნის კოლექტივი ახლა თავდადებით შრომობს იმისათვის, რომ დიდი ლენინის დაბადების 90 წლისთავს ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდეს.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

1.400 ათასი მანეთი მოგება

სულ უფრო ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება დიდი ლენინის დაბადების 90 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

წითელწყაროს რაიონის კირის ქარხნის კოლექტივმა გულდასმით განიხილა რუსთავის ცემენტის ქარხნის კოლექტივის მოწოდება, იანგარიშა თავისი წარმოების ყველა შესაძლებლობა, დასახა ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებანი და იკისრა შემდეგი ვალდებულებანი:

საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულოს 5 დეკემბრისათვის, კირის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულოს 23 დეკემბრისათვის და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 350 ტონა კირი, შეუფერხებლივ მოამარაგოს რუსთავის ცემენტის ქარხანა კირქვის ხრეშით და გეგმის გადამეტებით დაუმზადოს 30 ათასი ტონა, თვითეული ტონა კირის თვითღირებულება შეამციროს 27 კაპიკით, ხოლო კირქვის ხრეშისა — 30 კაპიკით, შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 10 პროცენტით, მოგებიდან რესპუბლიკურ ფონდში შეიტანოს 1.400 ათასი მანეთი.

აღებული ვალდებულების შესრულებისათვის ქარხნის ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა მტკიცე კონტროლი განახორციელა წარმოების ყველა უბანზე და სასურველ შედეგებს მიაღწია, იანვრისა და თებერვლის დავალება გადაჭარბებით იქნა შესრულებული. წარმოების კოლექტივი ახლა წარმატებით იბრძვის იმისათვის, რომ 4 თვის დავალება დიდი ლენინის დაბადების 90 წლისთავისათვის შესრულოს.

ფოლადის მარჯვენით

დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში. საწარმოთა კოლექტივები ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

იბრძვიან რა ნაკისრ ვალდებულებათა ღირსეულად შესრულებისათვის, რუსთავის მეტალურგებმა ახალი შრომითი წარმატება მოიპოვეს — იანვრის დავალება სრული მეტალურგიული ციკლით შეასრულეს. წარმატებით აღფრთოვანებულმა მეტალურგებმა თებერვალში კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპი და გეგმის გადამეტებით ყოველდღიურად უშვებენ ათობით ტონა ფოლადს, თუჯს, ნაგლინსა და სხვა პროდუქციას.

მეტალურგთა ამ საერთო წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ცალკეულ მეფოლადეებს, რომლებიც ლენინურ შრომითს ვახტზე დადგნენ და ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. მათ შორის ერთ-ერთი პირველია მოწინავე მეფოლადე გიორგი სიგუა, რომელმაც თებერვალში რამდენიმე ჩქაროსნული დნობა განახორციელა და გეგმის გადამეტებით 182 ტონა ფოლადი გამოადნო.

სახელოვანი ვაჟკაცი, რომელსაც ფოლადზე მტკიცე მარჯვენა აქვს, ახლა იმისათვის იბრძვის, რომ ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდეს დიდი ლენინის დაბადების 90 წლისთავს.

* * *

ხურათზე: გ. სიგუა.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

უკეთესად ეგენ საშუოგლოს

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები. 21 თებერვლისათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 143,5 პროცენტით, რძისა — 103,7 პროცენტით, კვერცხისა — 106,2 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება. (საკდესი).

გაზაფხულის დღეები

რეპორტაჟი

უკანასკნელ დღეებში თბილი ამინდები დაიჭირა. ხვნა-თესვისათვის ასეთ ამინდს რა სჯობს! და აი გავიდნენ კიდეც მინდვრად თეთრწყაროელი კოლმეურნეები.

თვალუწვდენ მინდვრებზე ტრაქტორების გუგუნი ისმის, ხნულს შავი ზოლები ტალღებად გასდევს, ოხშივარი ასდის გადაბრუნებულ ბელტებს.

— ეს დღეებიც განსაზღვრავს შვიდწლედის მეორე წლის უხვი მოსავლის ბედს, — თქვა სოფელ კოდის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ფიხჩულოვმა.

კოლმეურნეობის მინდვრებზე პირველად აგუგუნდა „დტ-54“ მარკის ტრაქტორი, რომელსაც ა. მენთეშაშვილი მართავს. მთესავად მისი შვილი ნოდარი მუშაობს.

მზესუმზირას თესვის გეგმას იგი ყოველდღე ორმაგად ასრულებს. ახლა კოლმეურნეებს გაფრთხილება არ სჭირდებათ, მანქანისათვის საწვავი, სათადარიგო ნაწილები წინასწარ მომარაგებული აქვთ.

შრომის ფერხულშია ჩაბმული მთელი სოფელი. მინდვრის სამუშაოებში კოლმეურნეებს სიმინდიც არ დავიწყებათ. მათ წელს, პირობა დასდეს სიმინდი დათესონ 800 ჰექტარზე ნაცვლად შარშან დათესილი 600 ჰექტარისა, აქედან პროგრესული წესით — კვადრატულ-ბუდობრივად 700 ჰექტარი. ამ სამუშაოს უნაკლოდ შესასრულებლად-აქედანვე შუდგნენ მუშაობას. ჯერ მზე არ ამოსულა, და კოლმეურნე ტრაქტორისტს ა. კენკებაშვილს სიმინდის დასათესად უკვე დაუწყია მზრალის გადახვნა. მას არც ტრაქტორისტები რ. აგაჯანოვი, შ. ავგაროზაშვილი, გ. ჯავახიშვილი, ა. ბაღდასაროვი ჩამორჩებიან. მათ ერთ დღეს მზრალის გადახვნის დღიური დავალება 150-200 პროცენტით გაანაღდეს.

წელს კოდელ მექანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ იმუშაონ მანუკოვსკისებურად, სიმინდის მოყვანის სამუშაოთა ყველა პროცესში გამოიყენონ მექანიზაცია.

სოფელში დღისით ვერ ნახავთ ვერცერთ შრომისუნარიან კოლმეურნეს. ეს ბუნებრივიც არის. კოლმეურნეები ერთსულოვნად დაირაზმნენ იმისათვის, რომ სასახელოდ იმუშაონ შვიდწლედის მეორე წელს, ამრავლონ საკოლმეურნეო ბარაქა. კოლმეურნეობაში შრომა ისე მოუწყვიათ, რომ ყველა კოლმეურნეს ჩაბარებული აქვს გარკვეული სამუშაო. ვაზის გასასხლავად სპეციალურად შეურჩევიათ გამოცდილი, თავისი საქმის მცოდნე კოლმეურნეები.

პარტორგანიზაციის მდივანს ს. ბაღდასაროვს ყოველდღე მინდვრად ნახავთ. იგი კოლმეურნეებს გვერდში უდგას და ვაზის ძირების ირგვლივ ნიადაგის შემობარვის ყოველდღიურ დავალებას ერთიორად ასრულებს.

ვენახში ნახავთ ღრმად მოხუცს გ. მენთეშაშვილსაც. მას სახლში გული არ უჩერდება; თავის გამოცდილებას უზიარებს და ვაზის მოვლის წესებს პრაქტიკულად აჩვენებს კოლმეურნეებს დ. ამინაშვილს, ვ. ხაჩატუროვს.

ასეთ მშვენიერ დღეებში, — ამბობს მოხუცი გ. მენთეშაშვილი, — გული შინ არ გვიდგება, რამდენადაც შეგვიძლია, ვმუშაობთ, ენერგიას არ ვზოგავთ. ჩვენს დიდ ილიას უთქვამს, გლეხკაცი საქმის კაცია და მოცდენა ძვირად უღირსო.

ამ დღეებში დაიწყებენ კარტოფილისა და საკვები ჭარხლის თესვას. ამისათვის ნიადაგი უკვე მზადა აქვთ. წელს საკვებ ჭარხალს 80 ჰექტარზე დათესავენ ნაცვლად შარშან დათესილი 60 ჰექტარისა. აქ თვითეულ ჰექტარზე 300 ცენტნერი ჭარხლის მოსავლისათვის იბრძვიან.

შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული ავრეთვე ასურეთის, ჯორჯიაშვილის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში, რაიონის კოლმეურნეობები წელს უკეთესად მოემზადნენ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. ძირითადად უზრუნველყოფილი არიან ყველა სახის თესლით, სასიმინდე ნიადაგი მზრალად არის მოხნული. წელს თეთრწყაროელ კოლმეურნეთა მუშაობაში სიახლე ის არის, რომ სათოხნ კულტურებს ძირითადად მანუკოვსკის მეთოდით დაამუშავებენ. სიმინდს კვადრატულ-ბუდობრივად დათესავენ დაყალიბებული თესლით.

მზე კარგა ხანია გადაიხარა, საკოლმეურნეო მინდვრებში კი კვლავ ისმის ტრაქტორების გუგუნი. სასახელო შემოქმედებითს შრომას ეწევიან თეთრწყაროელი კოლმეურნეები. ასეა ყოველდღე, ყველა ისწრაფვის მეტი წვლილი შეიტანოს შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა განაღდებაში.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ჩაის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ

განიხილეს რა საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის წარმოების გადიდების ღონისძიებათა საკითხი, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ჩაის პლანტაციების მშრომელებმა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით მიაღწიეს ჩაის ფოთლის წარმოებაში შვიდწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებას.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულებანი, 1959 წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 140 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 7 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1958 წელს.

ზოგიერთმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ და მთლიანად რაიონებმაც კი კიდევ უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს; ვადამდე გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ჩაბარების გეგმა მახარაძის, ქობულეთის, გალის, ზუგდიდის, ტყიბულის, ლანჩხუთის, წყალტუბოს, წალენჯიხისა და სხვა რაიონების მშრომელებმა.

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობამ 300 ჰექტარი სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციების მთელი ფართობის საშუალოდ 1 ჰექტარზე მიიღო 5.350 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი; მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ შესაბამისად — 4.300 კილოგრამი 255 ჰექტარ ფართობზე; გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობამ — 4.200 კილოგრამი 346 ჰექტარ ფართობზე; ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ — 5.670 კილოგრამი 478 ჰექტარზე და ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ — 4.700 კილოგრამი 490 ჰექტარ ფართობზე.

ამასთან ერთად, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ ცალკეულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ჩაის ფაბრიკებსა და რაიონებში მთლიანად არ ყოფილა გამოყენებული ჩაის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის ამაღლების არსებული რეზერვები, რამაც გამოიწვია ჩაის ფოთლის მოსავლის დანაკარგი და პროდუქციის ხარისხის შემცირება.

მთავარ მიზეზს, რაც ჩაის წარმოების მკვეთრ აღმავლობას აფერხებს, წარმოადგენს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და რაიონების სამეურნეო საქმიანობის დონის დიდი სიჩქარელე. ძალიან ხშირად მთლიანად რაიონში მაღალ საშუალო მაჩვენებლებს იქით იმალება მთელი რიგი ჩამორჩენილი მეურნეობები, რომლებიც უკან სწევენ რაიონსა და რესპუბლიკას.

წულუკიძის რაიონის სოფელ ივანდიდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 2.300 კილოგრამშე მეტი ჩაის ფოთოლი, მის გვერდით მდებარე წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობამ კი, რომელსაც ისეთივე პირობები აქვს, მხოლოდ 628 კილოგრამი; ოჩამჩირის რაიონის სოფელ აფსნის კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 2.640 კილოგრამი, მის გვერდით მდებარე კოლმეურნეობა „აჯამპაზრამ“ კი 1.425 კილოგრამი.

ზოგიერთი ჩაის პლანტაციის დაბალი მოსავლიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია მისი სიმეჩხერე და დასარეგვლიანება.

შემოწმებით დადგენილია, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 5.000 ჰექტარამდე ჩაის პლანტაციები დასარეგვლიანებულია მაყვლითა და სხვა სარეველა მცენარეულობით. ასეთი პლანტაციები გამოვლენებულია ოჩამჩირის რაიონში — 1.058 ჰექტარი, გალის რაიონში — 621, წულუკიძის რაიონში — 244, წყალტუბოს რაიონში — 166, ცხაკაიას რაიონში — 116, ჩხოროწყუს რაიონში — 112 ჰექტარი.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ვხვდებით უხეშ დარღვევებს მინერალური სასუქის ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების მხრივ. სასაწყობო სადგომების სიმცირის გამო მინერალურ სასუქს ხშირად ღია ცის ქვეშ ტოვებენ, არაა სათანადო წესრიგი კოლმეურნეობებს შორის მინერალური სასუქის განაწილების საქმეში.

ბევრი კოლმეურნეობა უხეშად არღვევს მინერალური სასუქის შეტანის ვადებსა და დოზებს. როგორც წესი, არ ხდება სასუქის აწონა, ხოლო პლანტაციებში იგი შეაქვთ თვალზომით და ისიც არათანაბრად. სრულიად არასაკმაოა ადგილობრივი ორგანული სასუქის (ნაკელი, ტორფი და სხვ.) გამოყენება, კოლმეურნეობებში მოწყობილი არაა ტორფკომპოსტების წარმოება.

საჭირო შემთხვევებში ყოველთვის არ ხორციელდება მოსავლიანობის გადიდების ისეთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, როგორიც არის ჩაის ბუჩქების ნახევრად მძიმე და მძიმე გასხვლა.

ჩაის ფოთლის კრეფის წესების დარღვევის შედეგად, ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პლანტაციების მოსავლიანობა შემცირდა. ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებში მკაცრი კრეფის ჩატარებისა და შემოუსვლელი დუყების კრეფის გამო, განსაკუთრებით სეზონის დასაწყისში, პლანტაციების მოსავლიანობა 1959 წელს არათუ არ გაზრდილა, არამედ შესამჩნევადაც შემცირდა.

იმის გამო, რომ საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან მუშახელით, დიდია ჩაის ფოთლის მოსავლის დანაკარგები. მიუხედავად ამისა, ცალკეული რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოები, კოლმეურნეობათა გამგეობები საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ ჩაის საბჭოთა მეურნეობებს.

საკონსტრუქტორო ბიუროები და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები შეუწყვარებლად ნელი ტემპით მუშაობენ ჩაის მეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის ამოცანების გადასაჭრელად, განსაკუთრებით ჩამორჩენა მუშაობა ჩაის საკრეფი მანქანის შექმნისა და სრულყოფისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ ჩაის მეურნეობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმით, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და ჩაის ფაბრიკებს მოწინავე აგროტექნიკის, ჩაის მაღალი მოსავლის და მისი გადამუშავების ტექნოლოგიის, ოსტატთა მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვნად ამაღლების საქმეში.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დასახეს ღონისძიებანი 1960 წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის წარმატებით შესრულებისა და მისი ხარისხობრივი გადამუშავების უზრუნველსაყოფად. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საოლქო და რაიონულ პარტიულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, ჩაის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს აღმასკომებს და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დავალათ:

შვიდწლედის პირველ წელს მიღწეულ წარმატებათა გათვალისწინებით, სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აქტივის ფართო მონაწილეობით შეიმუშაონ თვითეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და ბრიგადის მიხედვით ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩაის წარმოების გადიდების საქმეში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. ეს ღონისძიებანი განიხილონ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა საერთო კრებებზე.

უზრუნველყონ მთელი შემოსული ფოთლის დროზე მოკრეფა დადგენილი წესების შესაბამისად, არ დაუშვან გადაუხუშება, აგრეთვე განუვითარებელი დუყების მოკრეფა, კატეგორიულად აკრძალონ მკაცრი კრეფა, განსაკუთრებით სეზონის დასაწყისში, რაც იწვევს მოსავლიანობის შემცირებას; მიიღონ ზომები, რათა ჩაის ყველა მკრეფავი უზრუნველყოფილ იქნას კალათებით, ამასთან არ დაუშვან ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა წინსაფრებსა და რბილ ტარაში.

ჩაის ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებისა და ამ მხრივ მკრეფავთა დაინტერესების ამაღლების მიზნით, შემოიღონ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში თვითეული მკრეფავისაგან მოკრეფილი ფოთლის ხარისხის მიხედვით მიღების სავალდებულო წესი.

მოკრეფილი ფოთლის ხარისხის შენარჩუნებისა და მისი დაჭკნობის თავიდან აცილების მიზნით მოაწყონ ფოთლის ნორმალური შენახვა პლანტაციებში და მისი მიტანა ჩაის ფაბრიკებსა და მიმღებ პუნქტებში მოკრეფიდან არაუგვიანეს 2-3 საათისა.

ჩაის ყველა პლანტაციის საათანადო მდგომარეობაში მოყვანის მიზნით მოაწყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მასობრივი გასვლა პლანტაციებში და მიმდინარე წლის 1 მარტამდე დაამთავრონ ჩაის პლანტაციების გაწმენდა სარეველა მცენარეულობისა და ჯაგნარისაგან, ამასთან არ დაუშვან მომავალში მათი დასარეგვლიანება.

უზრუნველყონ 1960 წლის 1 მაისამდე ყველგან ჩაის პლანტაციებში საძრენაჟო ქსელის გაწმენდა და დამატებითი საძრენაჟო თხრილების მოწყობა ზედმეტად დატენიანებულ ნიადაგებში.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდა ჩაის პლანტაციების მოვლასა და შენარჩუნებას და მათს დაცვას წანახედისაგან, ამასთან უზრუნველყონ მათი შემოკავება და ცოცხალი ღობის გაშენება ამ პლანტაციების გარშემო.

დაუწესონ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას იმის დავალება, რომ მოხდეს ჩაის პლანტაციების სიმეჩხრის ლიკვიდაცია ძირითადად შეხავსებული ჩაის ნერგით იმ ანგარიშით, რომ ეს მუშაობა დამთავრდეს 1961 წლის დამლევამდე, რისთვისაც ყოველ მეურნეობაში მოაწყონ საჭირო რაოდენობით ჩაის ნერგის გამოყვანა. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა სისტემატური დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შეხავსებული ნერგის გამოყვანის საქმეში.

მტკიცედ დაიცვან მინერალური სასუქების შეტანის დაწესებული ვადები და ნორმები ჩაის პლანტაციების მდგომარეობის, ასაკისა და მოსავლიანობის გათვალისწინებით: ბრიგადებსა და რგოლებში იქონონ მინერალური სასუქის საზომები, აგრეთვე არ დაუშვან ჩაისათვის გამოყოფილი სასუქის გამოყენება სხვა კულტურებისათვის.

1960 წლის პირველ კვარტალში უზრუნველყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მინერალური სასუქების შესანახი სასაწყობო სადგომების რემონტი და 1961 წლის დამლევამდე დამატებით აშენონ საჭირო რაოდენობით სასაწყობო სადგომები ტიპური პროექტების მიხედვით.

მნიშვნელოვნად გაფართოონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტორფკომპოსტის სასუქის გამოყენება ჩაის პლანტაციებში, როგორც ორგანული სასუქის ძირითადი სახეობისა, რისთვისაც მოაწყონ მეურნეობებში ქარხნებიდან გამოზიდული ტორფის კომპოსტირება.

ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანოებს და ჩაის მწარმოებელი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დავალებული აქვთ ჩაის პლანტაციებში ფოთლის კრეფის ტრიოდოლისათვის გაფართოონ დასასვენებელი ბანაკების და საველე სამზარეულოების მოწყობა კოლმეურნეებისათვის ცხელი საჭმლის მოსამზადებლად, აგრეთვე უზრუნველყონ ჩაის პლანტაციების ყველა მასი ფარდულებით ჩაის ფოთლის დროებით შესანახად; გააფართოონ საკოლმეურნეო სბავშვო ბაღებსა და ბაგების ქსელი, ბავშვთა მოსავლელად გამოჰყონ გამოცდილი კოლმეურნე ქალები და მოაწყონ სბავშვო დაწესებულებათა სათანადო მომარაგება კვების პროდუქტებით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს, ჩაის ფაბრიკებს, ჩაის ფოთლის კრეფის დარგში ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას და ჩაის წარმოების შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებას.

* * *

უდიდეს ხანალხო-სამეურნეო მნიშვნელობას ანიჭებენ რა ჩაის წარმოების შემდგომ გადიდებას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება სამაუულო ჩაის წარმოებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების მუშებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს მიაღწიონ ახალ აღმავლობას ჩაის მოყვანისა და ჩაის ფოთლის გადამუშავების საქმეში და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ მასების მოელი მეცადინეობა და ენერგია წარმართონ ისეთ ღონისძიებათა განხორციელებისაკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ 1960 წელს ჩაის ფოთლის კრეფის დარგში ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას და ჩაის წარმოების შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებას.

მინდვრად გვიხმობენ

ტიკულად აჩვენებს კოლმეურნეებს

ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲐᲓ ᲒᲕᲘᲮᲛᲝᲑᲔᲜ

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲨᲘ ᲛᲘᲕᲒᲐᲫᲝᲗ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲡ

ლექცია ასეთ თემაზე სკკპ მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლში წაიკითხა 25 თებერვალს სკკპ წევრმა 1904 წლიდან ლ. ა. ფოტიევამ.

აქ შეიკრიბნენ დედაქალაქის პოლიტგანათლების კაბინეტების გამგეები და პროპაგანდისტები. ისინი განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდნენ ლ. ა. ფოტიევას, რომელიც მრავალ წელს მუშაობდა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით.

ლიდა ალექსანდრეს ასულმა დაწვრილებით ილაპარაკა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი დამაარსებლის, უბრალო, გულისხმიერი და გულშემატკივარი ადამიანის — ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ხუთ წელიწადზე მეტ ხანს იყო ლ. ა. ფოტიევა სახალხო კომისართა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს მდივნად და ამავე დროს ვ. ი. ლენინის მდივნად. მისმა ნაამბობმა ვლადიმერ ილიას ძის მუშაობის მეთოდებისა და სტილის შესახებ დამსწრეთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

აღნიშნავს რა ლენინის გენიის მრავალმხრივობას, ილიჩის განსაკუთრებულ მიმზიდველობას, ლ. ფოტიევა ამბობს: ლენინი იყო კომუნისტი ამ სიტყვის საუკეთესო, ყველაზე კეთილშობილური მნიშვნელობით.

ლ. ფოტიევამ გულწრფელმადად ილაპარაკა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებაზე, იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები ასრულებენ ლენინის ანდერძს, რომ ლენინის ყოვლისმძლე იდეები მძლავრ გავლენას ახდენენ მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე.

შემდეგ გაკეთებული იქნა მიმოხილვა ლიტერატურისა თემაზე „ვ. ი. ლენინი თანამედროვეთა მოგონებებში“. (საკდესი).

შვიდეული ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ

ᲧᲝᲩᲐᲦ, ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲝ!

ᲝᲠᲘ წელია, რაც ჯავის რაიონის სოფელ ტონტობეთის კოლმეურნეობის ფერმაში მუშაობს ნასტია კოჩიევა. იგი ადგილობრივი ჯიშის 12 ძროხას უვლის. და მერე როგორ? შარშან ბევრ მოწინავე მწველავს გაუსწრო, თვითეულ ძროხაზე გეგმის გადამეტებით 100 კილოგრამი რძე მიიღო.

მწველავთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნასტიას მოწინავე ადგილი უჭირავს. იგი მზრუნველობას არ აკლებს პირუტყვს, ზუსტად იცავს კვების რაციონს. შარშან წველადობის დაკალება ნოემბერში შეასრულა. ეს პატარა მაჩვენებელი როდია მთის სოფლის კოლმეურნეობისათვის. ახალგაზრდა მწველავმა ბეჯითი შრომით აჩვენა კოლმეურნეებს, რომ კარგი მოვლა-პატრონობით ადგილობრივი ჯიშის ძროხაც მაღალპროდუქტიულია.

მიღწეულს როდი სჯერდება ნარჩინებული მწვილავი. მან ვალდებულება იკისრა წელს თვითეულ ძროხაზე 2.200 ლიტრამდე აიყვანოს წველადობა. ეს ლიტონი სიტყვა როდია. მიმდინარე წლის 15 თებერვლამდე ნასტიამ საშუალოდ ერთ ძროხაზე 20 ლიტრით მეტი რძე მიიღო გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

ბევრ კარგ საქმეს აკეთებს ეს გოგონა. იგი პირველი გამოეხმაურა ხორცის წარმოების მკვეთრად გადიდების ღონისძიებებს კოლმეურნეობაში. ნასტია შვიდი ღორის გაზრდას, გასუქებას და სახელმწიფოსათვის მიყიდვას კისრულობს.

ᲮᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ნასტია კოჩიევა.

Ი. ᲗᲝᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ფოტო მ. ალბოროვისა.

რომ დაამშვენოს მშრომელთა სუფრა

სამტრესტის სამეურნეო აქტივის თათბირი

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ გორკის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამტრესტის სამეურნეო აქტივის თათბირი, რომელმაც განახილა სამტრესტის 1959 წლის მუშაობის შედეგები და 1960 წლის ამოცანები. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ღვინის ქარხნებისა და მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, მოწინავე მუშები.

მოხსენებით შარშანდელი შედეგებისა და მიმდინარე წლის ამოცანების შესახებ გამოვიდა სამტრესტის მმართველი დ. რომელაშვილი. მოხსენების ირგვლივ გმართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს სამტრესტის მთავარი მეღვინის მოადგილემ გ. გიგაშვილმა, ზესტაფონის ღვინის ქარხნის მუშამ ზ. ორბელაძემ, სამტრესტის მთავარმა შამპანისტმა მ. ასათიანმა, გურჯაანის ღვინის ქარხნის მუშამ შ. ლუიმ და სხვებმა.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად ამინდის ცუდი პირობებისა, რის შედეგადაც ყურძნის დამზადებისა და გადამუშავების გეგმა ვერ შესრულდა, სამტრესტის კოლექტივმა მაინც შეძლო გადაკარბებით გაუნაღდებინა გასული წლის საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 360 ათასი დეკალიტრი ღვინო, 5 ათასი დეკალიტრი კონიაკი, თითქმის 470 ათასი ბოთლი შამპანური.

ეს მიღწევები მოპოვებულ იქნა სამტრესტის მრავალათასიანი კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგად, იმის მეოხებით, რომ საწარმოებში გამონახეს მნიშვნელოვანი რეზერვები.

შარშან მნიშვნელოვნად განმტკიცდა ღვინის მრეწველობის ტექნიკური ბაზა. მწყობრში ჩადგა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი 3 ახალი ღვინის ქარხანა, აშენდა ასი ათასობით დეკალიტრის ტევადობის რკინა-ბეტონის რეზერვუარები.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მიღწევებთან ერთად ღვინის მრეწველობაში მთელი რიგი ნაკლოვანებებია. ზოგიერთ ქარხანათა სამმართველო არაპიგიენურ პირობებში აწყობს რთველს, არის დაბალი ხარისხის ღვინოების გამოშვების შემთხვევები, ზოგჯერ იგრძნობა უყურადღებობა პროდუქციის გაფორმებისადმი, ცუდი მოვლის შედეგად ხშირად ნაადრევად ფუჭდება ძვირფასი მუხის ტარა, რაც დიდ ზარალს აძლევს სახელმწიფოს, ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას სამაცივრო მეურნეობა.

თათბირზე დიდი ყურადღება დაეთმო სამტრესტის საბჭოთა მეურნეობების მუშაობას. მათ გადაკარბებით შეასრულეს ვენახების გაშენების შარშანდელი გეგმა. 1953 წელთან შედარებით ვენახების ფართობი ორნახევარჯერ გაიზარდა.

მაგრამ საბჭოთა მეურნეობები წლების განმავლობაში ვერ ასრულებენ ყურძნის საშუალო მოსავლიანობის დავალებას. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მეურნეობებში სუსტად ხორციელდება აგროტექნიკური ღონისძიებათა კომპლექსი, ვენახები მეტად გამეჩხერებულია, მათი შევსება კი ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია. დაბალია ვენახების დამუშავების მექანიზაციის დონე.

საქართველოს ღვინის მრეწველობის წინაშე შვიდწლედის მეორე წელს სერიოზული ამოცანები დგას. წინა წელთან შედარებით ღვინის პროდუქციის გამოშვება უნდა გაიზარდოს 1 მილიონი დეკალიტრით. დიდდება აგრეთვე კონიაკისა და შამპანურის გამოშვება.

ამ გადიდებული დავალების პირნათლად შესრულების მიზნით სამტრესტის სამეურნეო აქტივის თათბირმა ყველა მუშისა და მოსამსახურის სახელით იკისრა სოციალისტური ვალდებულებები.

აქტივის თათბირმა დასახა ღონისძიებები ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის, შეჯიბრებაში გამოიწვია სომხეთისა და აზერბაიჯანის მეღვინეობისა და მევენახეობის მუშაკები და მოუწოდა სამტრესტის ყველა მუშასა და მოსამსახურეს აქტიურად იბრძოლონ ვალდებულებების პირნათლად განაღდებისათვის.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ გ. ი. ჩოგოვაძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ი. ქადაგიძემ.

აი რაზე სტკივათ გული

ᲙᲢᲘᲑᲣᲚᲨᲘ ორჯონიკიძის სახელობის შახტის ტერიტორიაზე არსებულ პოლიკლინიკას რენტგენისა და ფიზიოთერაპიული კაბინეტები არა აქვს. საჭირო შემთხვევაში მეშახტეებს, აგრეთვე მოსახლეობას რაიონულ ცენტრამდე ფეხით 4-5 კილომეტრის გავლა უხდებათ.

Ი. ᲒᲝᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
Ა. ᲒᲐᲯᲣᲠᲐᲫᲔ,
Ი. ᲡᲣᲚᲐᲫᲔ,
Ნ. ᲗᲝᲤᲓᲝᲠᲐᲫᲔ.

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲑᲘᲡ რაიონის სოფელ ფონას არა აქვს სასმელი წყალი, მოსახლეობა გაუფილტრავ წყალს შორიდან — მდინარე კაბლიდან ეზიდება. საუკეთესო სასმელი წყლის გამოყვანა შესაძლებელია 4 კილომეტრი მანძილიდან. კიდევ დაგვპირდნენ ამას, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.

Ა. ᲒᲐᲒᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲗᲐᲒᲘᲚᲝᲜᲘ (გალის რაიონი) რადიოფიცირებული იყო ჯერ კიდევ 1953 წელს. ორ წელზე მეტია უყურადღებობის გამო რადიო ხმას არ იღებს. ამას კი არავინ არ აქცევს ყურადღებას.

Ნ. ᲫᲘᲫᲣᲐ.

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ რაიონის ფშავლის სასოფლო საბჭოს შუაზე ჰყოფს მდინარე სტორი, რომელიც ხშირად დიდდება. მდინარეზე ხიდი არ არის, ამიტომ სოფლის უბნები ცუდ ამინდში ერთმანეთს ვეღარ უკავშირდება. ამავე სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ ლალისყურის მოსახლეობას არა აქვს საავადმყოფო ან თუნდაც საექიმო პუნქტი. საჭიროა ყოველივე ამას ყურადღება მიექცეს.

Ვ. ᲩᲐᲑᲐᲘᲫᲔ,
კოლმეურნე.

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲛᲣᲯᲘᲠᲘᲗᲘ (თრჯოლის რაიონი) კეთილმოუწყობელია. წესრიგში არ არის გზები, ხიდები, ბოგირები. უტრანსპორტობის გამო მშრომელებს იშვიათად აჩვენებენ კინოსურათებს. სოფელს ბიბლიოთეკა არა აქვს.

Დ. ᲮᲣᲯᲐᲫᲔ.

მისაგაძი მაგალითი

არც თუ ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ნათელა ელკანოვა ლენინგორის საშუალო სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელად აირჩიეს. პირველ ხანებში გაუჭირდა მუშაობა, უფროსებს ხშირად ეკითხებოდა, სწავლობდა მათგან. ახლა ის საუკეთესო პიონერმუშაკად ითვლება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დეკემბრის პლენუმისათვის მზადების დღეებში, ნათელამ ვალდებულება იკისრა გაესუქებინა და სახელმწიფოსათვის ჩაებარებინა ერთი ღორი. დანაპირები პირნათლად შეასრულა. ამ რამდენიმე დღის წინათ მან სახელმწიფოს ჩააბარა თავისი შრომით გაზრდილი და გასუქებული 126-კილოგრამიანი ღორი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ: ნათელა ელკანოვა.

ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲮᲐᲨᲣᲠᲘ. (საქ. კორ.). სავაგონო დეპოს კოლექტივი, რომელიც შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრებას განაგრძობს თბილისისა და ბათუმის სავაგონო დეპოების კოლექტივებთან, წელს იმისათვის იბრძვის, რომ წლიური საწარმოო გეგმა ვადაზე ადრე — 25 დეკემბრისათვის გაანადღოს, წლიური შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვას 40 ვაგონი, ამასთან უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების 5 პროცენტით გაზრდა, პროდუქციის თვითღირებულების 4 პროცენტით შემცირება და წლის ბოლომდე შვიდწლედის ფონდში შეიტანოს 25.000 მანეთი.

ხაშურელი მევაგონეები გულმოდგინედ მუშაობენ აღებულ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 27 იანვარს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ იაპონიის ელჩს სსრ კავშირში ს. კადოვაკის გადასცა საბჭოთა მთავრობის სამახსოვრო ბარათი იაპონიის მთავრობისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელმოწერილ იქნა ეგრეთწოდებული „ხელშეკრულება ურთიერთ თანამშრომლობისა და უშიშროების შესახებ“.

5 თებერვალს იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სსრ კავშირის საელჩოს ტოკიოში გადასცა თავისი მთავრობის საპასუხო სამახსოვრო ბარათი, რომელშიც არის ცდა გაამართლონ იაპონიის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების დადება, რომელიც ვნებს საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების უშიშროების ინტერესებს.

24 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გ. მ. პუშკინმა მიიღო იაპონიის ელჩი სსრ კავშირში ს. კადოვაკი და იაპონიის მთავრობის 5 თებერვლის სამახსოვრო ბარათის პასუხად გადასცა მას საბჭოთა მთავრობის სამახსოვრო ბარათი.

საბჭოთა მთავრობამ ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ იაპონია-ამერიკის ხელშეკრულება მიმართულია საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და აზიისა და შორეული აღმოსავლეთის [illegible] ხელშეკრულებებს, მათ შორის [illegible] — [illegible] ბის წინააღმდეგ. იგი ართულებს ვითარებას ამ რაიონში და დამატებითის ბარიერს ქმნის საერთაშორისო დაძაბულობის ლიკვიდაციის გზაზე. ასეთი ხელშეკრულების დადებით იაპონიის მთავრობამ უგულებელყო იაპონიასა და მის მეზობლებს შორის მშვიდობისა და კეთილი ურთიერთობის დაცვის ინტერესები.

როგორც აღნიშნულია სამახსოვრო ბარათში, იაპონიის მთავრობას ახალი ხელშეკრულების დადებით განზრახული აქვს კიდევ უფრო შორს წავიდეს იმ გზით, რომ თავისი ქვეყნის ტერიტორია დაუთმოს უცხოეთის შეიარაღებულ ძალებს. ამით იგი წინასწარგანზრახულად აყენებს თავის ქვეყანას იმ აქციათა თანამონაწილის მდგომარეობაში, რომლებიც ხორციელდება გარკვეული სამხედრო ბლოკების ინტერესებისათვის.

საბჭოთა მთავრობის სამახსოვრო ბარათში ხაზგასმულია, რომ იაპონიის მთავრობა ახორციელებს თავისი ქვეყნის შეიარაღებისა და სამხედრო ბლოკში მონაწილეობის კურსს, რაც, აშკარაა, არ შეესაბამება დროების სულისკვეთებას [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

...ამოღვიძებული აღმოსავლეთი ...ბიესაღმება

◆ მოსკოვსა და ჯაკარტას ...ორის დიდი მანძილი 10 ათა... კილომეტრი ხელს არ უშ... ...ს მეგობრობას. ◆ საბჭოთა ...ავშირის დახმარება დიდ ...ოლს შეასრულებს ინდონე... ...ზიის ეკონომიკაში.

ინდონეზიელი ხალხი აღტაცებით მიესალმება ნ. ს. ხრუშჩოვს.

...ჯაკარტა, 25 თებერვალი. საკდესის ...ესპონდენტი ნ. პოზდნიაკოვი იუ... ...ა: ინდონეზიის საზოგადოებრიობა ...დღესი ენთუზიაზმით მიესალმება ინ... ...ნეზიის რესპუბლიკაში ნიკიტა სერ... ...ძე ხრუშჩოვის — მეგობრული ქვე... ...ს საპატიო წარმომადგენლის ყოფნას. ...ჭოთა მთავრობის მეთაურის ყოფნა ...ონეზიაში, მისი მოგზაურობა ათასო... ...ბილის კუნძულებზე, სიტყვები ჯაკა... ...ში, ბანდუნგში, ჯოკიაკარტასა და ...ბაიაში იაყრობენ ინდონეზიის მთე... ...ს საზოგადოებრიობისა და მთელი პრე... ...ს გულმოდგინე ყურადღებას. ალბა, ...ატრისა და სულაველესის კუნძულების ...ალაქების ლდიდესი გაზეთები ფართოდ ...ეტყობენ ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს და ...ეყნებენ მის ბიოგრაფიას, პორტრეტე... ...ა და განცხადებებს. ინდონეზიის გაზე... ...ბი ხაზს უსვამენ ამ ვიზიტის დიდ ...ეშველობას ინდონეზიისა და სსრ კა... ...ირის მეგობრობის განმტკიცებისათვის, ...ისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ...ქმისათვის, გულითად და გულთბილ ...ებას, რომელიც საპატიო საბჭოთა ...ემარს მოუწყეს.

...განმარტავდა რა იმ გულთბილობას, ...ლითაც ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ ...ონეზიაში, გაზეთი „პარიან ტემპო“ ...ალაქი სემარანგი) მოწინავე სტატიაში ...ერდა, რომ მოსკოვსა და ჯაკარტას შო... ...ის დიდი მანძილი — 10 ათასი კილო... ...ტრი არ არის დაბრკოლება ინდონეზი... ...ა და სსრ კავშირის ხალხებს მტკიცე ...ეგობრობისათვის. განსაზღვავება ცხოვრე... ...ს წესსა და ჰავაში, ხაზგასმით აღნიშ... ...ედა გაზეთი, აგრეთვე არ უშლის ...ელს, რომ ჩვენი მეგობრობა იყოს ...ტკიცე, რადგან ეგი ემყარება მკვიდრ ...ეფუძველს — ჩვენი ხალხების ერთსაერ ...ინობებსა და მისწრაფებას მშვიდობი... ...ა და დამოუკიდებლობისადმი. ამ მეგო... ...ობის დადასტურებაა ორი ქვეყნის ...ვიდრო და კონკრეტული თანამშრომ... ...ობა.

...ჩვენი განმათავისუფლებელი რეფო... ...ციის დაწყებიდანვე, აღნიშნავდა გა... ...ეთი, საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა ...ოული სოლიდარობა ინდონეზიელი ...ალხისადმი, მისი ბრძოლისადმი, საბ... ...ოთა დელეგაცია გაერთიანებული ერე... ...ის ორგანიზაციაში მამაცურად ეწინა... ...ღმდეგებოდა იმპერიალისტთა ცდებს ...ელავ დაემონებინათ ინდონეზია. საბჭო... ...ა კავშირი ყოველთვის გვიწევდა კონს... ...ტრუქციულ და კონკრეტულ დახმარებას. ...ა გაზეთი „ბანდუნგ ეარტა“ აღნიშნავს, ...რომ ინდონეზიაში ნ. ს. ხრუშჩოვს მო... ...წყეს უაღრესად გულთბილი მიღება და წერს: „ჩვენ ვეგებებით პრემიერ-მი... ...ნისტრ ხრუშჩოვს როგორც საპატიო ...სტუმარს, როგორც ახლო მეგობარს“.

ამ დღეებში ინდონეზიაში საბჭოთა ხა... ...ლის სახელზე მოდის ასობით წერილი ინდონეზიის ყველა კუთხიდან, რომლებ... ...ი მშრომელთა და ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ქალთა ორგანიზაციები, მოელი დასახლეული პუნქტების მცხო... ...ვრენი და ცალკეული პირები გულითა... ...დ მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის მეთაურის ჩამოსვლას ინდონეზიაში.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, პრემიერ-მინისტრო ხრუშჩოვ, — წერენ ისინი.— გაუმარჯოს ინდონეზიისა და სსრ კავშირის მეგობრობას. გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშვიდობას“.

„ჩვენ ძალიან ბედნიერი ვართ, — წერს ჯაკარტის სტუდენტთა ჯგუფის სახელით სტუდენტი ბარანაია, — რომ თქვენ, ბ-ნო ხრუშჩოვ, ჩამოხვედით ჩვენს ქვეყანაში, რადგან ვიცით, რომ თქვენ ხართ მეგობარი, დაუცხრომელი მებრძოლი მშვიდობისათვის. ამას მოწმობს თქვენი ენერგიული მოღვაწეობა, რომლის მიზანია მოწვეულ იქნას თათბირი უმაღლეს დონეზე, თქვენი ინიციატივა, რომლის მიზანია შემცირდეს შეიარაღება, კერძოდ საკუთარი შეიარაღებული ძალების 1.200 ათასი კაცით ანალი შემცირების გზით, თქვენი წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ თქვენ და საბჭოთა კავშირის მთელ ხალხს სურთ მშვიდობა მთელ მსოფლიოში. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ამ თქვენს წინადადებასა და ინიციატივას მხარს დაუჭერს და მიბაძავს ყველა სხვა ხალხი. ჩვენ სავსებით ეუჭერთ მხარს ამ თქვენს იდეებსა და თქვენი ხალხის იდეებს, რადგან მხოლოდ მშვიდობისა და მყუდროების ვითარებაში შეიძლება სწრაფად განხორციელდეს ინდონეზიელი ხალხის მისწრაფება.

იმედი გვაქვს, რომ თქვენი ვიზიტი კიდევ უფრო განამტკიცებს ინდონეზიისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას. ჩვენი ხალხი და თქვენი ხალხი ესწრაფვიან ერთ მიზანს — აშენონ სამართლიანი და ბედნიერი საზოგადოება, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი სახეობის ჩაგვრისაგან, ესწრაფვიან მშვიდობასა და უშიშროებას. ჩვენი მხურვალე სალამი საბჭოთა კოლეგებს — სტუდენტებსა და საბჭოთა კავშირის მთელ ხალხს“.

„ისტორიის წარმტაცი ფურცელი“

...პარიზი, 26 თებერვალი. (საკდესი). „ისტორიის წარმტაცი ფურცელი, რომელიც მოგვითხრობს საბჭოთა და ფრანგი მფრინავების ძმობაზე“, — წერს პარიზის გაზეთი „ლიბერასიონი“ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მხატვრული ფილმის „ნორმანდიე-ნემანის“ შესახებ, რომელიც გამოვიდა საფრანგეთის დედაქალაქის ეკრანებზე.

მხოლოდ ორი დღე გავიდა ამ კინოფილმის ჩვენების დაწყებიდან, მაგრამ საფრანგეთის პრესა უკვე სავსეა კომენტარებით, რომლებშიც ხაზგასმულია მისი დიდი წარმატება.

ფრანგ მფრინავთა ისტორია, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში იბრძოდნენ ჰიტლერელთა წინააღმდეგ სსრ კავშირის ტერიტორიაზე, დიდად აღელვებს ფრანგ მაყურებლებს.

„მშვიდობისმოყვარულ ნაწარმოებს“ უწოდებს კინოფილმს ყოველკვირეული „ექსპრესის“ მიმომხილველი.

პარიზის მთელი პრესა დიდ შეფასებას აძლევს დამდგმელის ჟან დრეველის, აგრეთვე ძირითადი როლების შემსრულებლების — ფრანგი და საბჭოთა მსახიობების მხატვრულ ოსტატობას.

საკდესის განცხადება

ამ უკანასკნელ დღეებში უცხოეთის პრესაში გამოქვეყნდა ცნობები, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ესპანეთის მთავრობებს შორის მომდინარეობს საიდუმლო მოლაპარაკება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. საქმე ეხება კერძოდ იმას, რომ დასავლეთმა გერმანიამ ესპანეთის ტერიტორიაზე შექმნას ბაზები სამხედრო ავიაციისათვის და რაკეტების გასაშვებად, აგრეთვე ბუნდესვერის მომარაგების ბაზები, როგორც დასავლეთის ქვეყნების პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა დაინტერესებულია ესპანეთის ტერიტორიის გამოყენებით, რამდენადაც იგი პარიზის შეთანხმებათა მოქმედების სფეროს გარეთ არის და მაშასადამე იქ შეიძლება უკონტროლოდ, თავისი მოკავშირეების ზურგს უკან გააჩაღოს მზადება ბუნდესვერის აღჭურვისათვის უახლეს სახეობათა იარაღით და შეასწავლოს დასავლეთ გერმანიის სახედრო პერსონალს ასეთი იარაღის ხმარება. აღნიშნული ცნობები დაადასტურეს დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა. რაც შეეხება ბონისა და მადრიდის გასამართლებელ ახსნა-განმარტებებს ამ საკითხზე, ეს განმარტებანი არა მარტო ოდნავაც ვერ აბათილებენ საზოგადოებრიობისათვის ცნობილ ფაქტებს, არამედ არსებითად ადასტურებენ მათ.

ამასთან დაკავშირებით საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი.

ცნობებს ადენაუერისა და ფრანკოს მთავრობებს შორის სამხედრო თანამშრომლობის დამყარების შესახებ კარგად უნდა ჩაუკვირდეს ყველა, ვისთვისაც სულ ერთი არ არის, თუ რა ბედი ეწევა მსოფლიოს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები ახორციელებენ მორიგ ღონისძიებას, რომელიც ახალ გართულებებს გამოიწვევს ევროპაში და დამატებით სიძნელეებს ქმნის რომწყიფებული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის გზაზე.

საბჭოთა მთავრობა მუდამ იძლეოდა და ახლაც იძლევა გაფრთხილებას თუ რა ავბედითს საშიშროებას შეიცავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მილიტარიზაცია, რაც ხორციელდება გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის პირობებისა და იმ ოთხმხრივ სამოკავშირეო შეთანხმებათა დარღვევით, რომელთა მიზანია უზრუნველყოს გერმანელი ერის მშვიდობიანი დემოკრატიული განვითარება და შეუძლებელი გახადოს გერმანიის მილიტარიზმის მიერ ახალი სისხლსმღვრელი ომების გაჩაღება.

დღეს უკვე საკმაოზე მეტად მოგვეპოვება იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ადენაუერის მთავრობის უამრავი განცხადება მშვიდობისმოყვარეობის შესახებ პარიზის შეთანხმებათა შემუშავებისა და ნატოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიღების პერიოდში განკუთვნილი იყო მხოლოდ გერმანელი მილიტარისტების ნამდვილი გეგმების შესანიღბავად და დასავლეთის ქვეყნების საზოგადოებრიობის დასამშვიდებლად. დასავლეთის სახელმწიფოთა თანხმობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მილიტარიზაციაზე, მისი შეიარაღებაზე, ატომური მილიტარული გეგერლების დამზადება საკომანდო პოსტებზე [illegible] ...ციული რესპუბლიკის ხელმძღვანელ მოღვაწეებს იმად მიაჩნიათ, რომ დაეწყებულია გერმანული მილიტარიზმის წარსული დანაშაულობანი, მიაჩნიათ ერთგვარ წამახალისებელ პრემიად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ახლანდელი აგრესიული პოლიტიკისა და იმ ღონისძიებებისათვის, რომლებსაც ეგი „ცივი ომის“ განსაგრძობად ახორციელებს.

რამდენიმე ხანია გამოირკვა, რომ ნატოს ფარგლებიც კი ვიწრო ყოფილა დასავლეთ გერმანიის სამხედრო წრეებისათვის, რომლებსაც აქვთ საკუთარი შორს გამიზნული გეგმები, რის ახალი დადასტურებაც არის სამხედრო თანამშრომლობის დამყარება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ესპანეთს შორის.

მოლაპარაკება ევროპის ორ ყველაზე რეაქციულ სახელმწიფოს შორის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ იმას მოწმობს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა იძულებულია მშვიდობიანი ინტერესების საწინააღმდეგო თავისი პოლიტიკისათვის მხარდაჭერა სთხოვოს რეჟიმს, რომელიც ჰიტლერული ნაციზმია და იტალიური ფაშიზმის ქმნილებაა. ფრანკისტულ ესპანეთთან დასავლეთ გერმანიის ფაული შეთანხმება უნებურად მოგვაგონებს ყბადაღებულ „ბერლინ-მადრიდის“ ღერძს, ჰიტლერის სამხედრო კავშირს ფრანკოსთან. მსოფლიომ იცის, ვის მხარეზე გამოდიოდა ფრანკოს ესპანეთი მეორე მსოფლიო ომში. ყველას ახსოვს ჰიტლერის ჯარების საშინელი ბოროტმოქმედებანი, რომელთა მონაწილე იყო აგრეთვე ეგრეთწოდებული „ცისფერი დივიზია“, რომელიც პირენეის გადაღმიდან გამოგზავნეს ბრძოლის ველებზე საბჭოთა კავშირში.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ფრანკისტულ ესპანეთს შორის სამხედრო შეთანხმება საბჭოთა კავშირში მიაჩნიათ დასავლეთ ევროპის ყველაზე აგრესიულად განწყობილი და რეაქციული წრეების ცდად — ხელი შეუშალონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის შეთანხმების მიღწევას, მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საფუძვლის შექმნას. ეს შეთანხმება კვლავ მოწმობს, რომ დაუყოვნებლივ საჭიროა ყველამ, ვინც ნამდვილად დაინტერესებულია მშვიდობის განმტკიცებით, განახორციელოს ერთობლივი ღონისძიებანი დასავლეთ გერმანიის მილიტარისტების ხრიკების წინააღმდეგ და ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ უსწრაფესი შეთანხმების მიღწევას საყოველთაო და სრული განიარაღებისა და გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგებისა საკითხზე.

...ეროვნული თემაზე

...ახალი იმპერიალისტური ...ხრიკები აღმოსავლეთში

„ანტიკომუნისტური კავშირის“ ხელმძღვანელთა როლში თვალს აუხელს აღმოსავლეთის ხალხებს და დაანახვებს ამ იმპერიალისტური მანევრის კოლონიურ არსს.

საკდესის მიმომხილველი
ბ. ეგოროვი.

ამ ბოლო დროს პაკისტანის ქალაქ ლაჰორი გახდა სეატოსა და სენტოს სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ხელმძღვანელთა შესაკრები ადგილი, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გააქტიურონ ხალხების მიერ უარყოფილ ამ აგრესიულ დაჯგუფებათა საქმიანობა. ეს-ეს არის წავიდნენ ლაჰორიდან „საერთაშორისო კომუნიზმის წინააღმდეგ“ ყბადაღებული ბრძოლის საკითხზე გამართული სეატოს მმართველი „სემინარის“ მონაწილენი, რომ იქ გაიხსნა სენტოს სამხედრო ბლოკში შემავალი შუა აღმოსავლეთის სამი სახელმწიფოს — პაკისტანის, ირანისა და თურქეთის მეთაურთა თათბირი. ამასთან ირანული გაზეთი „ბამშათი“ ახლანდელ მოლაპარაკებას ლაჰორში პირდაპირ უკავშირებს სეატოს ანტიკომუნისტური სემინარის მუშაობას. სენტოს მონაწილე მუსლიმური ქვეყნების მეთაურთა თათბირზე, წერს გაზეთი, „მოხდება აზრთა გაზიარება ანტიკომუნისტური კავშირის შექმნის შესახებ და შეისწავლიან ამ საკითხის გადაჭრის გზებს, რომლებსაც სეატოს მონაწილე ქვეყნების თათბირზე დასახავენ. როგორც ირანის მეორე გაზეთი „ეთელაათი“ აცხადებს, ამ მოლაპარაკების მსვლელობაზე განხილულ იქნება საკითხი, რომ შეათანხმონ სეატოსა და სენტოს მოქმედება „კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ დარგში.

ეს ცნობები სავსებით გასაგებ შეშფოთებას იწვევენ აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც კარგად იციან, რომ კოლონიზატორები „კომუნისტური საფრთხის“ ყბადაღებულ საფრთხობელას მიმართავენ ყოველთვის, როცა ამზადებენ ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხელყოფას. საკმარისია გავიხსენოთ იმპერიალისტური შანტაჟისა და ზემოქმედების ვითარება, რომელშიც ხუთი წლის წინათ სცადეს არაბთა ქვეყნების ჩაბმა აგრესიულ ბაღდადის პაქტში, რომელსაც მაშინ მოხდენილად უწოდეს „ხალხთა სპასტიმრო“. არაბმა ხალხებმა არ მოატყუებინეს თავი ყალბი გოდებით „კომუნისტური საფრთხის“ შესახებ და არ დაიდვეს ახალი კოლონიური დამოკიდებულების უღელი. „ცივი ომის“ ამ პირმშოს ბოროტი საქმიანობა, რომლის უსახელო ხუთი წლისთავს ახლა აღნიშნავენ მისი ორგანიზატორები, მუდამ იქნება აღმოსავლეთის ხალხებისათვის გაფრთხილება იმ ნამდვილი საფრთხის შესახებ, რომელსაც მათ უქმნის სამხედრო ბლოკების იმპერიალისტური პოლიტიკა.

ანტიკომუნისტური ისტერიის გაღვივება ჩვენს დროში მიზნად ისახავს გაამწვავოს საერთაშორისო ვითარება და ხელი შეუშალოს სახელმწიფოთა ურთიერთობაში დაძაბულობის დასახულ შენელებას. „ანტიკომუნისტური კავშირის“ ნიღბით აგრესიული პოლიტიკის სულისჩამდგმელნი ცდილობენ სამხედრო ბლოკების ქსელში მოაქციონ აღმოსავლეთის ის ქვეყნები, რომლებიც არ მიმბრძანებენ არც ერთ არსებულ პაქტს. ცივი ომის მომბრეკებს ესმით, რომ ისეთ პირობებში, როცა აღმოსავლეთის ქვეყნების უმრავლესობა ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას, ჭერება ნიადაგი აგრესიული ზრახვების განხორციელებისათვის. აქედან გამომდინარეობს ცდა დაარღვიონ აღმოსავლეთის ხალხთა სოლიდარობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ძირი გამოუთხარონ იმ ქვეყნების დამოუკიდებელ პოლიტიკას, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური ჩაგვრისაგან.

მეთვალყურეთა უურადღებას არ გამოპარვია ის ფაქტი, რომ ლაჰორში სენტოს მონაწილეთა თათბირის არ ესწრებიან ამ პაქტის სულისჩამდგმელნი და ორგანიზატორები — ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი. მიაჩნიათ, რომ ეს არის ორივე ქვეყნის ხელმძღვანელი წრეების ცდა დროებით დარჩნენ ჩრდილში და შეჭმნან შთაბეჭდილება, თითქოს ახალი ანტიკომუნისტური წამოწყების „ინიციატორები“ არიან თვით შუა აღმოსავლეთის ქვეყნები. ასეთივე ტაქტიკა, უნდა ითქვას, გამოიყენეს ბაღდადის პაქტის შექმნის დროს, რომელსაც თავდაპირველად გვიხატავდნენ როგორც შუა აღმოსავლეთის ქვეყნების რეგიონალურ კავშირს. აგრესიული პოლიტიკის სტრატეგებს, როგორც ჩანს, ეშინიათ, რომ შეერთებული შტატებისა და ინგლისის აშკარა გამოსვლა ახალი „ანტიკომუნისტური კავშირის“ ხელმძღვანელთა როლში თვალს აუხელს აღმოსავლეთის ხალხებს და დაანახვებს ამ იმპერიალისტური მანევრის კოლონიურ არსს.

საკდესის მიმომხილველი
ბ. ეგოროვი.

...ყოველი მხრიდან

◆ პრეზიდენტი დე გოლი მოგზაურობს საფრანგეთში. ◆ ამერიკა უუმბარებს აწვდის ლი სინ მანს. ◆ უსაფუძვლო ბრალდება. ◆ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ისრაელის საზღვარზე. ◆ ტრაგიკული შემთხვევა.

...პარიზი, 26 თებერვალი, (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტი დე გოლი ამჟამად მოგზაურობს საფრანგეთის მთელ რიგ სამხრეთ-დასავლეთ დეპარტამენტებში. ქალაქ გიეიაკში (ტარნის დეპარტამენტი) მან წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც, კერძოდ, ამბორთლდა საფრანგეთის ატომური ბომბის შექმნას.

პრეზიდენტმა კვლავ დაადასტურა, რომ ალეირის საკითხი შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ გზით, რომ ალეირელებს მიენიჭოთ თვითგამორკვევის უფლება. „საფრანგეთის წინაშე, — თქვა მან, — დგას ალეირის საკითხი, რომელიც სხვადასხვა მიზეზით გადაიქცა საშოქალაქო ომად, საიდანაც საფრანგეთს სურს ეპოვოს საუკეთესო გამოსავალი მასი ერთადერთი შესაძლო და ღირსეული გადაჭრის გზით — ალეირელების მიერ თავიანთი ბედის თავისუფალი არჩევის გზით“.

დე გოლმა დასძინა, რომ ალეირში საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ „საფრანგეთი უზრუნველყოფს შესაძლებლობას შეაპრიესპიროს ალეირში ყველა მიმდინარეობის აზრი, რათა მოგწყოს ფართო გამოკითხვა, რომლის მსვლელობაში ალეირელებს შეუძლიათ თავისუფლად თქვან, რა სურთ მათ“.

სიტყვა წარმოთქვა რა მეორე ქალაქში — კასტრაში, პრეზიდენტი დე გოლი შეეხო საფრანგეთის გაერთიანების შექმნის საკითხს და განაცხადა: „ახლა უკვე შეუძლებელია თუნდაც ეს სინანულიც იწვევდეს, იმის შენარჩუნება, რასაც გუშინ იმპერიას უწოდებდნენ“. დე გოლმა აღნიშნა, რომ დამოკიდებულება იმ ქვეყნებთან, რომლებიც მასში შედიოდნენ, ახლა უნდა ემყარებოდეს სხვა საფუძვლებს“.

...ნიუ-იორკი, 24 თებერვალი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალს საგენტოს კორესპონდენტი გოადან იუწყება, სამხრეთ კორეის მარიონეტული მთავრობის მეთაურმა ლი სინ მანმა განაცხადა, რომ სამხრეთი კორეა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მალე მიიღებს მართულ ყუმბარებს და რომ ეს ყუმბარები უკვე გზაშია.

ცნობაში აღნიშნულია, რომ ამჟამად სამხრეთ კორეაში განლაგებულია ამერიკის სამხედრო ნაწილი, რომელიც შეიარაღებულია რაკეტებით „ონესტ ჯონი“ და ატომური ზარბაზნებით.

...ათენი, 25 თებერვალი, (საკდესი). გუშინ მიტილინიში (კუნძული ლესბოსი) მიმდინარეობდა გაზეთ „ავგის“ გასამართლება.

ბერძენი ხალხის დემოკრატიული გაზეთის მიმართ ხელისუფალთა თვითნებობის ახალმა აქტმა საბერძნეთის საზოგადოებრიობის დიდი აღშფოთება გამოიწვია. როგორც „ავგი“ იუწყება, გაზეთის დაცვა იკისრეს ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა და ადვოკატებმა ილიუ გალინოსმა და პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა ნულელისმა. დაცვის მოწმეებად გამოვიდნენ ოპოზიციის სხვადასხვა პარტიის დეპუტატები და პოლიტიკური მიმართულების ჟურნალისტები.

დაცვისა და საზოგადოებრიობის პროტესტების გავლენით, აგრეთვე გაითვალისწინა რა ხელისუფალთა მიერ გაზეთისათვის წაყენებული ბრალდების საეჭვო ხასიათი, სასამართლომ ბრალდება უსაფუძვლოდ ცნო და შეწყვიტა საქმე.

...კაირო, 25 თებერვალი. (საკდესი). უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში გაძლიერდა დაძაბულობა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ისრაელს ურთიერთობაში.

ადგილობრივი მეთვალყურენი ყურადღებას უთმობენ პრეზიდენტ ნასერის მთელ რიგ განცხადებებს, რომელიც ამჟამად არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონში იმყოფება. ამ განცხადებებში იგი ეხება ამასწინანდელ შეიარაღებულ ინციდენტებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ისრაელის საზღვარზე. გაზეთი „ალაჰბარი“ აღნიშნავს პრეზიდენტ ნასერის განცხადებას ისრაელის შეიარაღებული ძალების მობილიზაციის შესახებ და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებათა მხილების პრეზიდენტის მიერ.

...ლონდონი, 25 თებერვალი, (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ტელ-ავივიდან იუწყება, ისრაელის არმიის სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისრაელის არმიის გენერალური შტაბი „გულდასმით ადევნებს თვალყურს ამ ბოლო დროს შემჩნეულ აქტივობას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საზღვარზე“.

...ნიუ-იორკი, 26 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის საინფორმაციო საგენტოების ცნობებით, გუშინ ოკეანის თავზე რიო-დე-ჟანეიროს ახლოს ბრაზილიის სარეიხო თვითმფრინავი დაეჯახა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების სატრანსპორტო თვითმფრინავს. ამ უკანასკნელის მგზავრთა შორის იყვნენ მუსიკოსები ამერიკის სამხედრო ორკესტრიდან, რომელიც პრეზიდენტ ეიზენჰაუერს ახლდა მისი მოგზაურობის დროს ბრაზილიაში. 70-ზე მეტი კაციდან, რომლებიც ორივე თვითმფრინავში იმყოფებოდნენ, დაიღუპა 66 კაცი. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, ეიზენჰაუერმა და ბრაზილიის პრეზიდენტმა კუბიჩეკმა დიდი მწუხარება გამოთქვეს ტრაგიკული შემთხვევის გამო. გადაიდო მთელი რიგი დარბაზობანი, რომლებიც უნდა გამართულიყო ბრაზილიაში პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ყოფნასთან დაკავშირებით.

ტელეგრაფი გვატყობინებს

☐ დასავლეთ ბერლინის პოლიციამ აკრძალა დასავლეთ ბერლინის რაიონ ნოიკელნში თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის კრების მოწყობა. კრებაზე უნდა განეხილათ გერმანიის გაერთიანების საკითხები.

☐ ინგლისის შრომის სამინისტროს ცნობებით, თებერვლის შუა რიცხვებში ინგლისში ითვლებოდა 450 ათასი უმუშევარი. გარდა ამისა, 37.700 უმუშევარი იყო ჩრდილოეთ ირლანდიაში.

☐ საბჭოთა მეკიოლინე დავით ოისტრახი გამოვიდა სტოკჰოლმის საკონცერტო სახლში. კონცერტს, რომელიც უდიდესი წარმატებით დამთავრდა, დაესწრო შვეციის მეფე გუსტავ VI ადოლფი.

☐ ლიბანის სამხრეთ რაიონებში ისრაელის მხრიდან შეიჭრა კალიის გუნდი. გუნდის სიგრძეა 7 კილომეტრი და სიგანე 2 კილომეტრი.

☐ როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ტრევეზოდან გადმოგვცემს, იტალიის რეაქციული ავიაგამანადგურებელი დაეჯახა ორსართულიან შენობას. დაზარალდა 13 კაცი. მფრინავი დაიღუპა. (საკდესი).

მეცნიერების უანგარო მსახური

პროფესორ მიხეილ ზანდუკელის დაბადების 70 წლისთავის გამო

პროფესორ მიხეილ ზანდუკელი, რომლის დაბადების 70 წლისთავს დღეს აღნიშნავს ჩვენი საზოგადოებრიობა, ქართველ მეცნიერთა იმ ფალანგას მიეკუთვნება, უანგაროდ რომ ემსახურება ქართველოლოგიის წინსვლას და ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის დიდ კეთილშობილურ საქმეს. თითქმის ნახევარი საუკუნეა მოღვაწეობს ჩვენი იუბილარი საზოგადო სარბიელზე; ორმოცი წელია ამდიდრებს როგორც მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიას, ისე პედაგოგიურ მეცნიერებას ახალი გამოკვლევებითა და ვრცელი მონოგრაფიებით; მზის სინათლეზე გამოაქვს ქართული მწერლობის მრავალი მივიწყებული თუ არქივის მტვერით დაფარული ძეგლი.

ქართველ ინტელიგენტთა შორის პროფესორი მიხეილ ზანდუკელი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც გულწრფელად ჩადგა ახალი საბჭოთა სკოლის სამსახურში. 1921 წელს ახალგაზრდა პედაგოგი მიიწვიეს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატში საშუალო და უმაღლესი სკოლების მთავარმმართველობის გამგედ. მას მოუხდა უშუალო მონაწილეობა მიეღო იმდროინდელი სკოლის რეფორმის გატარებაში.

1921 წლიდან თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლა, რომლის გამგედაც იუბილარი მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა, მართლაც იყო „პედაგოგიური სადგური“, საიდანაც გამოცდილება გადაჰქონდათ როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე მოძმე სომხეთისა და აზერბაიჯანის სკოლებს.

განსაკუთრებით დიდია მიხეილ ზანდუკელის, როგორც უმაღლესი სკოლის მოღვაწის დამსახურება. მის მიერ აღზრდილი მოწაფეები არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის ცნობილი პედაგოგები არიან, არამედ, ბევრი მათგანი გამოჩენილი მეცნიერია.

როცა 1913 წელს მიხეილ ზანდუკელმა პირველი ხარისხის დიპლომით დამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი, გაბატონებულ მიმდინარეობას ლიტერატურის მეტყველებაში წარმოადგენდა ისტორიული სკოლა, რომელიც თეორიაში მისდევდა ოგიუსტ კონტის პოზიტივიზმს. ამ ფილოსოფიამ ეეროპულ ლიტერატურათმეტყველებაში პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა ჰეტნერისა და ტენის, ბრანდესისა და შერერის მოძღვრებით. მიხეილ სპერანსკი, რუსული ისტორიული სკოლის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი, მიხეილ ზანდუკელის მასწავლებელი იყო მოსკოვის უნივერსიტეტში.

მაგრამ ამ სკოლას იმდენად არათანმიმდევრული მეთოდოლოგია ჰქონდა, წინააღმდეგობებით აღსავსე ისეთი თეორიული დოქტრინა შეიმუშავა, რომ ოგიუსტ კონტის პოზიტივისტური ფილოსოფიის შინაგანი ხარვეზები, რასაც მისი ფანატიკური თაყვანისმცემლებიც კი გრძნობდნენ, ესთეტიკის სფეროს მიმართ გამოყენებული, კიდევ უფრო აშკარად ხელშესახები იყო.

მიხეილ ზანდუკელი არ გაჰყოლია არც ევროპელსა და არც რუსულ ისტორიულ სკოლას. თუ მის ადრინდელ ნაწერებში რუდიმენტების სახით აქა-იქ შეიმჩნეოდა ნამსხვრევები, ეს იყო მხოლოდ ეპიზოდური მოვლენა. წინააღმდეგ თეორიისა — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, შესაძლოა, ისტორიული სკოლიდან შეითვისა მიხეილ ზანდუკელმა სიყვარული რეალიზმისადმი, რომლის მეცნიერულ ანალიზსაც ასე ბევრი შრომა მიუძღვნა და ასე ბევრი ენერგია მოახმარა. ამ მხრივ მან ისეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, რომ „ისტორიული კონცეფციისათვის“ არავითარი ადგილი არ დუუტოვებია. ისეთი ფუნდამენტალური შრომები, როგორიცაა „ახალი ქართული ლიტერატურა“ (სამი ტომი, რამდენჯერმე გამოცემული), „ქართული ლიტერატურის მეთოდიკა“, „Очерки по истории грузинской литературы XIX века“, „ეჟა-ფშაველა“, „თერგდალეულნი და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში“, ლიტერატურული ნარკვევები“, სადოქტორო დისერტაცია— „ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში“ დაწერილია მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის გამოყენებით. ვერ ვიტყვით, რომ ამ ვრცელ გამოკვლევებში არ იყოს სადავო დებულებები, რომლებიც დაზუსტებას, დახვეწას, შესაძლოა უკუგდებასაც საჭიროებდნენ, მაგრამ ეს არ არის მთავარი; არსებითია დაუღალავი შრომის შედეგად შექმნილი ფუნდამენტალური გამოკვლევები მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ასე ნათლად რომ მოწმობენ მათი ავტორის უანგარო სიყვარულს შობელი ერისა და მისი დიდი მხატვრული შემოქმედებისადმი; ესთეტიკურის განცდა, რომელიც ცხადად გაგრძნობინებთ თავის სილამაზეს; ფორმისა და შინაარსის ერთიანობის თვალსაზრისით თვითეული ნაწარმოების ანალიზის უნარი; მეცხრამეტე საუკუნის როგორც ქართული, ისე რუსული და ევროპული ლიტერატურის ღრმა ცოდნა, მათ შორის გაბედული, ამავე დროს ორიგინალური პარალელების გავლება.

ჯერ კიდევ 30-იანი წლების კრიტიკა აღნიშნავდა, რომ მიხეილ ზანდუკელის „ახალი ქართული ლიტერატურა“, მიუხედავად ზოგიერთი მეთოდოლოგიური ხარვეზისა, წარმოადგენდა წინ გადადგმულ ნაბიჯს ალექსანდრე ხახანაშვილის, კიტა აბაშიძისა და ვახტანგ კოტეტიშვილის ცნობილი გამოკვლევების შემდეგ.

ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანა ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის იყო ქართული რომანტიზმის ბუნებისა და მისი რაობის გარკვევა. პროფესორმა მიხეილ ზანდუკელმა ვრცლად მიმოიხილა ეს პრობლემა ევროპული, რუსული და ქართული რომანტიზმის მოშველიებით, მოახდინა მეცნიერული ანალიზი დიდძალი ლიტერატურული მასალისა და მრავალი საყურადღებო დასკვნა გამოიტანა.

ასეთივე ინტერესით და საკითხის ცოდნით აზუქებს იუბილარი ქართველი ხალხოსნების შემოქმედებას, მთელი მეცხრამეტე საუკუნის მწერლობას, ლიტერატურის თეორიის მრავალ რთულ პრობლემას, მეთოდიკისა და დიდაქტიკის საკითხებს.

აღზრდა, როგორც რთული ფენომენი, ყოველთვის იყო პროფესორ მიხეილ ზანდუკელის ინტერესისა და კვლევა-ძიების საგანი. როგორც მასწავლებელს, მას ბევრი მოწაფე აღუზრდია და ბევრისათვის გზა გაუკაფავს. ეს მოწაფეები ისევე უანგაროდ ემსახურებიან მშობლიურ ქვეყანას, ხალხს, ქართულ მეცნიერებას, როგორც მათი სახელოვანი მასწავლებელი, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომელსაც 70 წელი შეუსრულდა და აქედან თითქმის 50 წელი სამშობლოსადმი მხურვალე სამსახურისათვის მიუტანია.

პროფ. ბ. ჯიბლაძე.



თეთრი ოლიმპიადა

ჰოკეისტთა ტურნირი

ვ. კოსიჩკინი, რომელმაც 5.000 მეტრ დისტანციაზე ჩქაროსნულ ციგურაობაში ოქროს მედალი მოიპოვა.

ხაბაროვსკი, 26 თებერვალი. (საკადესი). საბჭოთა კავშირის შაიბიან ჰოკეისტთა ოლიმპიურმა გუნდმა გუშინ გამართა თავისი მორიგი შეხვედრა „თეთრი ოლიმპიადის“ ფინალურ ტურნირში, რომელიც ამავე დროს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატიცაა. სსრ კავშირის გუნდის მოწინააღმდეგე იყო გერმანიის გუნდი, რომელიც შედგენილია დასავლეთ გერმანიის კლუბების უძლიერესი მოთამაშეებისაგან.

შეხვედრა წარიმართა საბჭოთა ჰოკეისტების აშკარა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 7:1 (0:1, 4:0, 3:0).

ფინალური ტურნირის მორიგ შეხვედრაში თამაშობდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის გუნდები. ეს დაძაბული შეხვედრა ბევრისათვის მოულოდნელად ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური გუნდის გამარჯვებით დამთავრდა, ანგარიშით 2:1 (1:0, 1:0, 0:1). ჩეხოსლოვაკიის გუნდმა მოუგო შვეიცის ჰოკეისტებს 3 : 1.



28 თებერვალი ზამთრის VIII ოლიმპიური ასპარეზობის უკანასკნელი დღეა. ახლა, ბრძოლის ფინიშთან მიმდინარეობს მძაფრი ასპარეზობა.

გუშინ მოეწყო ოლიმპიური ასპარეზობით გათვალისწინებული მორიგი შეხვედრები. ამ დღის პროგრამაში იყო ჩქაროსნული ციგურაობა ვაჟთათვის 1.500 მეტრზე, სათხილამურო ესტაფეტა ქალთათვის 3×5 კილომეტრზე, ფიგურული ციგურაობა, ასპარეზობა სლალომში ქალთათვის და ფინალური ჯგუფის გუნდების შეხვედრები ჰოკეიში.

მწვავე ბრძოლით ხასიათდებოდა შეჯიბრება ჩქაროსნულ ციგურაობაში ვაჟთათვის 1.500 მეტრზე. აქ უძლიერესი აღმოჩნდა და ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონის წოდება ოქროს მედლით მოიპოვა ე. გრინშინმა. ამ დისტანციაზე საბჭოთა სპორტსმენი ბ. სტენინი მესამე ადგილზე გამოვიდა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ვ. კორჩნოი— სსრ კავშირის ჩემპიონი

ლენინგრადი. 26 თებერვალი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს დასრულდა პირველი ხუთწლედის სახელობის კულტურის სახლში მოხდა XXVII საჭადრაკო ჩემპიონატის დასკვნითი მე-19 ტურის გადადებული პარტიების დამთავრება. ნ. კროგიუსი დანებდა ტ. პეტროსიანს, დ. ბრონშტეინი — უ. გელერს, მ. ტაიმანოვი — ე. გუფელდს, ი. ნეი — ვ. სიმაგინს. ვ. კორჩნოიმ ზუსტი თამაშით მოუგო ა. სუეტინს. ყაიმით დამთავრდა ვ. სმისლოვა-ლ. პოლუგაევსკის შეხვედრები.

ამრიგად, დამთავრდა საბჭოთა კავშირის 1960 წლის საკავშირო ჩემპიონატი ჭადრაკში. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ლენინგრადელმა გროსმაისტერმა ვ. კორჩნოიმ, რომელმაც 14 ქულა შეაგროვა. მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს მოსკოველმა გროსმაისტერმა ტ. პეტროსიანმა და ოდესელმა გროსმაისტერმა ე. გელერმა, (13,5 ქულა). მეოთხე ადგილზე გამოვიდა ბაქოელი ახალგაზრდა ოსტატი ვ. ბაგიროვი (12 ქულა). მეხუთე ადგილი დაიკავა კუიბიშეველმა ოსტატმა ლ. პოლუგაევსკიმ (11,5 ქულა), მეექვსე — გროსმაისტერმა ი. ავერბახმა (11 ქულა). შემდეგი ადგილები დაიკავეს: ვ. სმისლოვმა და მ. ტაიმანოვმა, (10,5 ქულა თვითეულმა), ბ. სპასკიმ და ნ. კროგიუსმა (ათ-ათი ქულა თვითეულმა), ვ. სიმაგინმა (9,5 ქულა), დ. ბრონშტეინმა და ა. ლუტიკოვმა (9 ქულა თვითეულმა), ი. ნეიმ და ე. გუფელდმა (7,5 ქულა თვითეულმა), ვ. ლაბერჩინმა და ლ. შამკოვიჩმა (6,5 ქულა თვითეულმა), ბ. გურგენიძემ, ი. სახაროვმა და ა. სუეტინმა (ექვს-ექვსი ქულა თვითეულმა).

საღამოს კულტურის სახლში მოეწყო ჩემპიონატის საზეიმო დახურვა. ჩემპიონატის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა შეჯიბრების მთავარი მსაჯი სპორტის დამსახურებული ოსტატი პ. რომანოვსკი. მან განაცხადა — ჩემპიონატმა გაამართლა იმედები, იგი მეტად საინტერესო იყო და საბჭოთა საჭადრაკო მოძრაობას შეჰმატა ახალი შემოქმედებითი აზრი. მან განსაკუთრებით აღნიშნა ვ. კორჩნოის წარმატება. შემდეგ პ. რომანოვსკიმ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი და პირველი ხარისხის დიპლომი გადასცა ვ. კორჩნოის. ვერცხლის მედალი და მეორე ხარისხის დიპლომები გადაეცათ გროსმაისტერებს ტ. პეტროსიანსა და ე. გელერს. ბრინჯაოს მედალი და მესამე ხარისხის დიპლომი მიიღო ვ. ბაგიროვმა, ხოლო ლ. პოლუგაევსკიმ და ი. ავერბახმა მიიღეს მოწმობები.

შემდეგ პ. რომანოვსკიმ საბჭოთა კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის სახელით საუკეთესო პარტიებისათვის მეორე ხარისხის დიპლომები გადასცა ვ. კორჩნოის ი. სახაროვთან მოგებულ პარტიაში, ე. გუფელდს — ბ. სპასკისთან მოგებულ პარტიაში და ვ. ბაგიროვს — ბ. გურგენიძესთან მოგებულ პარტიაში.

ლენინგრადის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარემ გამოაცხადა სპეციალური ჯილდოებით დაჯილდოებულთა გვარები, რომლებსაც გადაეცათ პრიზები: ვ. ბაგიროვს — ოსტატთა შორის გროსმაისტერ-

ვ. კორჩნოი.

* * *

რთა წინააღმდეგ საუკეთესო შედეგისათვის (5,5 ქულა 8-დან), ვ. კორჩნოის ლენინგრადელთა შორის საუკეთესო შედეგისათვის. ჟურნალ „ავანიოკის“ პრიზი ლამაზი პარტიისათვის გადაეცა ბ. სპასკის დ. ბრონშტეინთან პარტიაში. უკანასკნელ 5 ტურში საუკეთესო შედეგისათვის ჯილდო გადაეცათ ვ. კორჩნოის, ე. გელერსა და ვ. ბაგიროვს, რომლებმაც 4-4 ქულა შეაგროვეს. შავებით საუკეთესო შედეგისათვის პრიზი მიიღო ე. გელერმა.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის 1960 წლის ჩემპიონი ჭადრაკში გროსმაისტერი ვ. კორჩნოი.

ვ. ბაგიროვს მიენიჭა გროსმაისტერის პირველი ბალი.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრესტის „მწვანე მეურნეობის“ დიდმოსავლიანობისა ორანუელიის მებაღე ნანა ... მოდრეკელიძე ამზადებს ყვავილებს გადასარგავად.

ფოტო ი. ედიგარაშვილისა. (საქ. ფოტოქრონიკა).

ევროპის თასზე

მეოთხედფინალური მატჩი კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე იუგოსლავიისა და რიგის სამხედრო საოლქო სასპორტო კლუბის გუნდებს შორის დამთავრდა საბჭოთა კალათბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 95:73.

ჭადრაკი

საერთაშორისო ოსტატის ვ. გოგლიძის რედაქციით

ამოცანა № 9

რ. მინდაძე (ს. ორბელი, ცაგერის რაიონი)



a b c d e f g h

შამათი ორ სვლაში.

თეთრები: მფd8, ლg8, კf4, კg4, მe1, მh1, პპ: b5, d6, e3, g5 (სულ 10);

შავები: მფe4, ლb2, მa3, პპ: d7, f6 (სულ 5).

ეტიუდი № 8

ე. მზარულავა

(ს. ხეთა, ხობის რაიონი)



a b c d e f g h

თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს.

თეთრები: მფh5, მb2, პპ: d5, f5, h3 (სულ 5);

შავები: მფh7, კa2, კf6 (სულ 3).

რედაქტორი

დ. მჟელიშვილი.

ახალი ამბები, ჭორები, ფიქრები

ქორწილი ქარხანაში

უჩვეულო საღამო გამართა ამას წინათ ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის საზეიმოდ მორთულ კლუბში. აქ მოეწყო ახალგაზრდა მანქანათმშენებელთა ცხოვრებაში პირველი კომკავშირული ქორწილი. კლუბში შეიკრიბა უამრავი სტუმარი — მეგობრები და ამხანაგები ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნიდან, ხე-ტყის დასამუშავებელი კომბინატიდან, საკონდიტრო, სამკერვალო, ფეხსაცმლისა და სხვა ფაბრიკებიდან. უკრავს მუსიკა, გაისმის წკრიალა ხმები.

სცენაზე ადიან ახალდაქორწინებულნი — ქარხნის მექანიკური საამქროს ხარატები, კომკავშირელები ნიკოლოზ პოდგორნი და გალინა მაიოროვა. ბათუმის საქალაქო მმაჩის ბიუროს გამგე ტ. ხოფერია საზეიმო ვითარებაში აფორმებს მათ ქორწინებას.

ახალდაქორწინებულებს გულწრფელად მიულოცეს ბედნიერება მეგობრებმა და ამხანაგებმა, ქალაქის საწარმოთა ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა. შეისვა ახალი ოჯახის ბედნიერების სადღეგრძელოები.

ტაშის გრიალმა მოიცვა მთელი დარბაზი, როცა ქარხნის დირექტორმა ი. ნოღაიდელმა ნიკოლოზსა და გალინას გადასცა ახალაგებული საცხოვრებელი სახლის კეთილმოწყობილ ბინაში შესახლების ორდერი, ბათუმელმა ახალგაზრდებმა კი — ახალ კომკავშირულ ოჯახს უძღვნეს ბევრი საჩუქარი.

(საქ. ფოტო).

ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ?!..

...ივანე თულოშვილი სამამულო ომში დაიღუპა. მისმა მეუღლემ ნუშამ ობლობა და უმამობა არ აგრძნობინა შვილებს — მაყვალასა და მერის.

მაგრამ ოჯახს თავს უბედურება დაატყდა: დედა ნუშო ავად გახდა და გარდაიცვალა. ომმა თავისი მძიმე დღი დასცა თულოშვილებს.

დაჩოჩდნენ კეთილი ადამიანები — მეზობლები, ნათესავები, რომლებმაც მზრუნველობა არ მოაკლეს უდედმამოდ დარჩენილ მაყვალასა და მერის.

გაზაფხულის ერთ დღეს საბჭოს ქუჩაზე № 84 სახლს, რომელშიც ცხოვრობდნენ ობლები — მაყვალა და მერი, ივანეს ძმა სარდიონ თულოშვილი ესტუმრა.

— მოგიკვდეთ ჩემი თავი, შვილებო! კაცი ნუღარ გყოფილვარ, თუ უდედმამობა გაგრძნობინეთო, მე ვარ თქვენი ბიძაცა და მამაც! — გადაკოცნა, გულში ჩაიკრა მაყვალა და მერი.

გახარებული მეზობლები აღტაცებით ამბობდნენ: აი კაციც მაგას ჰქვია და ქუდიც მაგას ხურავსო.

ბიძამ რა სათამაშო, რა გასართობი არ უყიდა ბავშვებს.

თუმცა თბილისში ჯერ კიდევ არ ცხელოდა, მაგრამ სარდიონმა ადრევე იზრუნა ბავშვების დასვენებისათვის.

— ახლა სოფელში წაგიყვანთ, იქ კამკამა მდინარე მოჩუხჩუხებს, უამრავი ჩიტუნები დაფრინავენ, ყვავილებიც ბევრია, — უთხრა სარდიონმა ძმისშვილებს.

— დედიკო გენაცვალოთ, რატომ დაღონებულხართ? ვერ მიცანით? თქვენ კი შემოგვეღოთ ბიცოლა! — გაამხიარულა, გაამხნევა ობლები სარდიონის მეუღლემ ოლგა თულოშვილმა.

და გადიოდა დღეები... ოლგას მოშაქრულ ენას თანდათან სიმწარე შეეპარა.

— თქვენ თუ გგონიათ თან გადაგყვებით. თავი მომაბეზრეთ.

მაყვალა აიმრიზა, მეორე ოთახში გავიდა, ხელი ჩასჭიდა თავის პატარა დაიკოს და შარაგზას გაჰყვა. მიდიოდა, მაგრამ არ იცოდა, საით, ვისთან... მალე გაიგეს. ბავშვებს სოფლის ბოლოში წამოწიენენ.

როცა სოფელ ახალშენში ეს ამბავი მოხდა, სწორედ იმ ხანებში თბილისში ივანე თულოშვილის სახლში სარდიონ თულოშვილის ქალიშვილი სედა და მისი შეუღლე დმიტრი წარიაშვილი ჩასახლდნენ.

— აჰა, ჩემი ძმის სახლ-კარი, მთელი ავლადიდება თქვენთვის დამილოცნია, ერთმანეთს მზე და მთვარესავით შეაბერდით, — უთხრა მათ სარდიონმა.

სარდიონ თულოშვილის გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ ოლგამ საბრალო ობლებს უჩვენა „ახალი“ გზა, ისინი ღამით წაიყვანა სოფლიდან და დაატარებდა ხან სურამში, ხან თბილისში, ხან სად, ხან სად...

— შეიწყალეთ, შეიბრალეთ უპატრონოები! — ეძუდარებოდა დაბზდერთ. ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ პატარებს არასოდეს აღარ გახსენებოდათ დედმაძისეული კარმიდამო.

ამ რამდენიმე წლის წინათ, მაყვალა და მერი თბილისის ბავშვთა მიმღებ-განმანაწილებელშიც აღმოჩნდნენ, როგორც უპატრონოები. სულ ახლოს, რკინიგზის სადგურის გვერდით, ივანეს ყოფილ სახლთან ჩაატარეს ბავშვები. მაგრამ მათ საკუთარი ქუჩა, სახლი ვეღარ იცნეს...

შემდეგ სად გაქრნენ, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, კაცმა არ იცის!

სარდიონ თულოშვილის სიძე დმიტრი წარიაშვილი, თითქოს თვითონ არაფერ შუაში იყოს, რიხით გაიძახის:

— ჩემთან რა გინდათ, მე იმ ბავშვების სახელიც არ ვიცი, ძლივს მახსოვს, ერთხელ ჩემმა სიდედრმა ოლღამ ჩამოიყვანა თბილისში, კარგად არ ვიცი, რომელ საბავშვო პუნქტს ჩაბარა, არც ჩემმა მეუღლემ იცის...

სედა და დმიტრი წარიაშვილს სურთ ყველაფერი ამით დამთავრდეს. მაგრამ მაყვალა და მერი თულოშვილების თავგადასავალს წერტილს ვერ დაუსვამთ. მკითხველო, იქნებ შემთხვევით იცით სად იმყოფებიან ისინი?

სედა და დმიტრი წარიაშვილებს არ უნდა დაავიწყდეთ ერთი რამ: სხვისი ნაოფლარი არ შერჩებათ, მაყვალა და მერი საკუთარ კერას მონახავენ...

კ. სხვაველი,
შ. გაგუნაშვილი.



„მსოფლიოს საათი“.
ფოტო შ. კუკულავასი.

«მსოფლიოს საათი» თბილისში

გნებავთ გაიგოთ, რომელი საათია ახლა პარიზში, ნიუ-იორკში, არხანგელსკსა თუ დელიში? ამისათვის შეხედეთ კავშირგაბმულობის სახლის ანდა თბილისის ფოსტამტის შენობაზე მოთავსებულ საათებს. ეს საათები ამ დღეებში გაჩნდა აქ და მათი საშუალებით შეგიძლიათ შეიტყოთ თუ რომელი საათია მსოფლიოში. თანაც შეგიძლიათ დისკოს ფერის მიხედვით გაიგოთ, ღამეა თუ დღე თქვენ მიერ არჩეულ ქალაქში.

საათი ყოველ ნახევარ საათსა და საათში რეკავს სასიამოვნო მელოდიური ხმით.

„მსოფლიოს საათი“, როგორც ეს მისმა შემქმნელებმა შეარქვეს, ჩვენს ქალაქში გაკეთდა თბილისის ფოსტამტის მთავარი ინჟინრის ა. ყარყარაშვილის პროექტის მიხედვით.

— ასეთი საათი, — გვიამბობს ამხ. ყარყარაშვილი, — საბჭოთა კავშირში მხოლოდ ერთ ქალაქში, კიევის ფოსტამტის თავზეა. იქ ყოფნის დროს დავინტერესდით ამ საათის მუშაობით და ვთხოვეთ გამოეგზავნათ ჩვენთვის საათის კონსტრუქციის ნახაზები. მაგრამ კონსტრუქცია მეტად რთული იყო და თან მისი ცალკეული დეტალების დამზადება გაგვიჭირდა. მაშინ გადავწყვიტეთ გაგვემარტივებინა საათის კონსტრუქცია, დისკოს მუშაობისათვის გამოგვეყენებინა ელექტროიმპულსი და თვით ნაწილები თბილისში დაგვემზადებინა.

დაძაბული მუშაობის შედეგად ყარყარაშვილის ხელმძღვანელობით ფოსტამტის მუშაკებმა შ. ჯანგველაძემ, გ. კოჭლამაზაშვილმა, ჯ. შუბლაძემ, ს. ბესტაევმა, გ. ჯერენაშვილმა და სხვებმა შეძლეს საბჭოთა საქართველოს 39-ე წლისთავისათვის დაემთავრებინათ მსოფლიოს საათის დამონტაჟება.

აღსანიშნავია, რომ ინჟინერმა ყარყარაშვილმა შექმნა ავრეთვე საათი-კალენდარი, რომელიც თბილისის ფოსტამტის დარბაზშია მოთავსებული. იგი უჩვენებს დღეს, თვეს და წელიწადის დროს.

ლ. ხუბულური.

კეთილშობილური საქციელი

წყალტუბო. (საკ. კორ.). გეგუთის სასოფლო საავადმყოფოს ექიმს ვ. მაღლაკელიძეს, რომელიც ქუთაისიდან სოფელში მოტოციკლით მიემგზავრებოდა, გზაში ძვირფასი სამედიცინო მოწყობილობით სავსე ყუთი და სხვა ნივთები დაეკარგა. სოფელ გეგუთის მცხოვრებმა გ. სანებლიძემ ნივთები იპოვნა. იგი მიხვდა, რომ მისი პატრონი ექიმი იქნებოდა, იმავე დღეს სოფლის საავადმყოფოში მივიდა და ნაპოვნი პატრონს დაუბრუნა.

ოთხმოციანი სიმღერები

საინტერესო მუშაობას ეწევიან თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებელი ქართული ხალხური სიმღერების შემკრებისა და პოპულარიზაციის საქმეში. ამას წინათ აქ ნოტებზე გადაიღეს ოთხმოციანი სიმღერები, რომლებიც აღმოაჩინა აჭარის ასსრ რესპუბლიკაში მოთუშავე ხალხური სიმღერების შემკრებმა ექსპედიციამ.

ოთხმოციანი სიმღერები იშვიათი მოვლენაა მსოფლიოს ხალხთა მუსიკალურ შემოქმედებაში. სულ ჩაწერილია 14 სიმღერა — „თეთრი ქორი ჭანდარხედა“, „თთას ხოხობი აფრენილა“, „ბერიკაკი ჩაჩნაბერი“ და სხვ.

აჭარის ასსრ გამომცემლობა საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის იუბილეასთან დაკავშირებით გამოსაცემად ამზადებს აჭარული სიმღერების კრებულს, სადაც დაიბეჭდება ოთხმოციანი სიმღერებიც.

საქართველოს იუბილესათვის კომპერვატორიამ გამოსაცემად მოამზადა კახური სიმღერების კრებული, რომელშიც შევიდა კახეთის რაიონებში მოქმედი ექსპედიციების მიერ ჩაწერილი ხალხური სიმღერები.

მონადირემ სამი დათვი მოკლა

ჯავა, 26 თებერვალი, (საქდესი). ამ დღეებში მაღალი მთის სოფელ ჯალაბეთის კოლმეურნე მ. ბაღაევი ტყეში დათვის კვალს წაწყდა. იგი გაჰყვა ნაკვალევს და ძალე მხეცის ბუნაგთან მივიდა. აქ მან გადაწყვიტა დალოდებოდა მანამ, ვიდრე დათვი ბუნაგიდან გამოვიდოდა; მაგრამ ლოდინი დიდხანს მოუხდა — მთელი ღამე. განთიადისას, როცა მოთმინებას ფიალა აევსო, მონადირემ გაისროლა შიგ ბუნაგში. იქიდან გამოვარდა ორი დათვი. მ. ბაღაევმა ზუსტი გასროლით ორივე მოკლა, შემდეგ შეძვრა ბუნაგში და იქ ნახა პირველი გასროლით დაჭრილი მესამე დათვი. ამრიგად მონადირემ ერთბაშად სამი დათვი მოკლა.

სტადიონის რეკონსტრუქცია

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მალე გაჩაღდება დიდი მუშაობა. ახლა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტი ადგენს სტადიონის კაპიტალური რემონტის პროექტს. პროექტი აპრილის პირველ რიცხვებში დამთავრდება. მუშაობა იწარმოებს ცალცალკე უბნებზე ისე, რომ არ შეფერხდეს ფეხბურთის მატჩები.

თბილქალაქპროექტში სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრის ა. ქურდიანის ხელმძღვანელობით ადგენენ რესპუბლიკის ამ უდიდესი სასპორტო ბაზის რეკონსტრუქციის პროექტს, რომელიც მომავალში განხორციელდება.

ახალი საფეხბურთო სეზონის გასწინასწარ ფეხბურთის მოყვარეთა მოლოდინში მწვანე ბალახის საფარველი შეიცვლება ახალი კორდებით. დაიდგა ახალი კარები, არმონტებენ მეტწილ საჯდომ ადგილებს. სტადიონის ჩრდილოეთ კოშკზე განზრახულია მოეწყოს 45 წუთიანი ელექტრული საათი. (საქდესი).

ძველი იარაღი

ონი. (საკ. კორ.). სოფელ ღარის მცხოვრებმა შ. ჯილაძემ მიწის დამუშავების დროს ნიადაგში იპოვნა ძველი საბრძოლო იარაღი — 5 თოფი, 3 ხმალი, 3 ხანჯალი და 1 შანდალი. ყველა ნივთს ხის ნაწილები მიწისაგან ჰქონდა შეჭმული.

ვ. ჯილაძემ ნაპოვნი ექსპონატები ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა, სადაც ხდება მათი შესწავლა.

27 თებერვალი

თბილისის ოცდაერთსა და ოცდაექვსში

ოპერისა და ბალეტის — ლეგენდა თბილისზე, სოფლის პატიოსნება (მე-10 აბონ. მე-8 წარმ.), რუსთაველის სახელობის — ჰამლეტი, მარჯანიშვილის სახელობის — ჩემი ყვავილეთი, გრიბოედოვის სახელობის — ხეები ზეზეურად კვდებიან (მე-4 აბონ. მე-6 წარმ.), მუსიკალური კომედიის — ჭირვეული ქმრის მორჯულება (რკინიგზელთა სახლში), სანკულტურის — ჩვენ სამნი ვართ, მოზარდ მაყურებელთა ქართული — კომეტა ბ-2 (აბ. № 20, 10 ს.), თოჯინების ქართული — სიცოცხლის ყვავილი (11 ს., 2 ს.), ფილარმონიის საზამთრო — უპატარძლო ქორწილი.

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოსანი, თბილისი, საქართველო (მწვანე დარბაზი), კოლხიდა, პლეხანოვის სახელობის კლუბი, სპარტაკი — ამბავი ერთი ქალიშვილისა, ოქტომბერი, კომკავშირელი — განკიცხულნი.

* * *

ცხელვიჯი

18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — მოსწავლეთა სატელევიზიო თეატრის სპექტაკლი „უცნაური სასამართლო“, 19.05 — ახალი მხატვრული ფილმი „ადამიანები ხიდზე“, 20.30 — სიმფონიური მუსიკის კონცერტის ტრანსლაცია კონსერვატორიის დიდი დარბაზიდან. (ანტრაქტში უკანასკნელი ცნობები).

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, მრეწველო ბისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, საილუსტრაციო — 3-20-43,